

# სამოქალაქო განათლება

მეთოდური გზამკვლევი  
მასწავლებლებისთვის



---

DEMOCRACY STARTS WITH YOU



THE PROJECT IS FUNDED  
BY THE EUROPEAN UNION

## **ძვირფასო მასწავლებლებო,**

ჩვენი ერთობლივი პროექტი “დემოკრატია ინყება შენით!” მიზნად ისახავს მიაწოდოს ბავშვებს სასწავლო გამოცდილება, რომელიც დაეხმარება მათ გააცნობიერონ დემოკრატიის მუშაობის პრინციპები და გახდნენ აქტიური მოქალაქეები.

კონრად-ადენაუერის და ედუარდო ფრაის ფონდების, ასევე ბაქოს, ერევნისა და თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლების ერთობლივი მუშაობის შედეგია ამ პროექტის იდეის წარმოშობა და მის განსახორციელებლად საჭირო დაფინანსების მოპოვება ევროკავშირიდან. საქართველოს განათლების სამინისტრომ დიდი დახმარება გაუწია პროექტს, თუმცა ყველაზე დიდი როლი მაინც მასწავლებლებს ეკისრებათ.

მოსწავლეებთან ყოველდღიურ მუშაობისას თქვენ დებთ საძირკველს, რომელზეც ბავშვები თადათანობით აგებენ დემოკრატიის მათეულ აღქმას. ერთის მხრივ, თქვენ უხსნით მოსწავლეებს დემოკრატიის აკადემიურ მნიშვნელობას, დემოკრატიის ისტორიასა და თქვენს ქვეყანაში დემოკრატიის მუშაობის პრინციპებს, ხოლო მეორეს მხრივ, მოსწავლეები თქვენგან, თქვენი ქცევებიდან იძენენ ცოდნას დემოკრატიზე. წინამდებარე გზამკვლევში ჩვენ განვიხილავთ სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდებს.

გმადლობთ, რომ სკოლაში მუშაობისას მომავალი თაობის გულსა და გონიერები საფუძველს უყრით დემოკრატიის პრინციპებს. გმადლობთ, რომ მზად ხართ გაგვისაროთ თქვენი გამოცდილება სამოქალაქო განათლების სფეროში. ვიმედოვნებ, ეს გზამკვლევი დაგეხმარებათ სამოქალაქო განათლების სწავლების თქვენეულ გზაზე.


კატია ქრისტინა პლატე  
პროექტის დირექტორი

დემოკრატია იყება შენით !

# სარჩევი

<b>1</b>	<b>სხავლების პონტეფცია:</b>	<b>ქცევაზე ორიენტირებული სწავლება</b>	<b>6</b>
	1.1	რას გულისხმობს ეს კონცეფცია?	7
	1.2	მეთოდი პ: როლური თამაში	8
	1.3	მეთოდი ბ: სოკრატესული დიალოგი	10
<b>2</b>	<b>სხავლების პონტეფცია:</b>	<b>აზროვნებაზე ორიენტირებული სწავლება</b>	<b>12</b>
	2.1	რას გულისხმობს ეს კონცეფცია?	13
	2.2	მეთოდი გ: პლენარული პრეზენტაცია	14
	2.3	მეთოდი დ: წარმოსახვა	16
<b>3</b>	<b>სხავლების პონტეფცია:</b>	<b>განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება</b>	<b>18</b>
	3.1	რას გულისხმობს ეს კონცეფცია?	19
	3.2	მეთოდი ე: პოლიტიკური მანიფესტი	20
	3.3	მეთოდი ვ: იპოვე შენი ინტერესთა სფერო	22

<b>4</b>	<b>სწავლების პონდეფი:</b>	<b>ურთიერთაქტივობაზე ორიენტირებული სწავლება</b>	<b>24</b>
4.1	რას გულისხმობს ეს კონცეფცია?	25	
4.2	მეთოდი გ: ბრიტანული ფორმატის საპარლამენტო დებატები	26	
4.3	მეთოდი ლ: სწრაფი გაცნობა	28	
<b>5</b>	<b>სწავლების პონდეფი:</b>	<b>გამოცდილებაზე ორიენტირებული სწავლება</b>	<b>30</b>
5.1	რას გულისხმობს ეს კონცეფცია?	31	
5.2	მეთოდი ლ: ვიზიტი მერიაში/პარლამენტში.	32	
5.3	მეთოდი პ: გაესაუბრეთ მერს/შურნალისტს/პოლიციელს	34	
	<b>დანართი:</b>	<b>აბრაჰამ მასლოუ და ერიკ ფრომი</b>	<b>36</b>



სწავლების პონტეფია:

**ქცევაზე  
ორიენტირებული  
სწავლება**

# 1.1

## რას გულისხმობს აღნიშნული კონცეფცია?

ქცევაზე ორიენტირებული სწავლება (პიპევიორისტული მიდგომა), ძირითად, მნიშვნელობას ანიჭებს გარემოში არსებულ სტიმულებს და ადამიანის მიერ განხორციელებულ საპასუხო მოქმედებებს.

ამ თეორიის მიხედვით, მოსწავლის ქცევის შეცვლა ან მოტივირება შესაძლებელია სასურველი ქცევის წახალისებით და არასასურველი მოქმედებების იქნონირებით ან დასჯით. მაგალითად, თუ გსურთ, რომ მოსწავლეებმა კარგად შეასრულონ საშინაო დავალება, წაახალისეთ ერთ-ერთი მათგანი (ის, ვინც საუკეთესოა). წახალისების მრავალი ფორმა არსებობს, მათ შორის შექება, მცირე ჯილდოს დაწესება და ა.შ.

კარგად შესრულებული დავალებისთვის წახალისების შედეგად მოსწავლეები უფრო აქტიურები და მოტივირებულები გახდებიან.

ქცევაზე ორიენტირებული სწავლებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შემდეგი კომპონენტების გათვალისწინება:

- **აქტივობა –** აქტივობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწავლების პროცესი მაშინ უფრო ეფექტურია, როდესაც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული. ამ კონცეფციის მიხედვით, სიტუაციის იმიტირებითა და სათანადო მოქმედებებით შესაძლებელია უნარების გამომუშავება და ახალი მოქმედებების დასწავლა;
- **გამეორება და გენერალიზება –** პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან კონკრეტული უნარის განვითარება მხოლოდ პრაქტიკით არის შესაძლებელი. ასევე მნიშვნელოვანია მოქმედებების გენერალიზება და გაანალიზება;
- **მოსწავლის მოტივირება –** სწორად შესრულებული დავალებისთვის მოსწავლის წახალისება;
- **მკაფიოდ განსაზღვრული და ქცევაზე ორიენტირებული სწავლების მიზნები –** სასურველია სწავლების მიზნების გენერალიზება მოქმედებების კონტექსტში. მაგალითად, სასურველია მასწავლებელმა ჩამოაყალიბოს სწავლების მიზნები შემდეგი სიტყვების გამოყენებით: „გაცვეთილის ბოლოს მოსწავლე შეძლებს...“

## 1.2 მეთოდი ა:

# როლური თამაში

### საკვანძო სიტყვები

თამაში, ამბები, დახასიათება,  
სისტემა, იმპროექტაცია



### აღწერა

როლური თამაში არის სწავლების მეთოდი, რომელშიც მონაწილეები სხვადასხვა პერსონაჟების როლებს ითავისებენ და ერთობლივად თხზავენ ამბავს. მონაწილეები განსაზღვრავენ პერსონაჟთა მოქმედებებს მათ დახასიათებაზე დაყრდნობით. მათი ქმედება წარმატებული ან წარუმატებელია, წინასწარ დადგენილი ნორმებისა და წესების შესაბამისად. მონაწილეებს ეძღვათ თავისუფალი იმპროექტაციის საშუალება წესების ფარგლებში; მათი არჩევანი განსაზღვრავს თამაშის მიმართულებასა და შედეგს.

როლური თამაში სწავლების ყველაზე შედეგიანი მეთოდია სამოქალაქო განათლებისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაეცნონ სხვადასხვა შეხედულებას და გაარკვიონ, რა პრობლემის წინაშე დგებიან პროცესის სხვა მონაწილეები. ამას გარდა, ამ მეთოდით შესაძლებელია რთული სიტუაციებისა და თემების განხილვაც.

### მაგალითი:

## სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების დაბალანსება

თუ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებში როლური თამაშის გამოყენება გსურთ, ეს მაგალითი გამოგადგებათ.

### სასწავლო პროგრამის თემა:

უმცირესობისა და უმრავლესობის ინტერესების დაბალანსება დემოკრატიულ სახელმწიფოში

### ამოცანა:

დემოკრატიული პრინციპების თანახმად, უმცირესობა გადაწყვეტილებებს არ იღებს. მიუხედავად ამისა, თუ უმცირესობის შეხედულებები არ იქნება გათვალისწინებული, შეიძლება გაჩნდეს პრობლემები.

## ეტაპები:

- 1.** განსაზღვრეთ აქტუალური პრობლემა ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის. მაგალითად, საჭიროა აშენდეს ახალი გზა, რომელიც სოფელს მთავარ გზასთან დააკავშირებს.
- 2.** განსაზღვრეთ შესაბამის დაინტერესებულ პირთა ჯგუფი. მაგალითად, არის დაინტერესებულ პირთა | ჯგუფი — სოფლის მოსახლეობა, ვისაც სჭირდება გზა, რომელიც მათ სოფელს ცენტრალურ მაგისტრალთან დააკავშირებს. მათ სურთ, რომ მათ შევილებს სასკოლო ავტობუსი მოემსახუროს; ამას გარდა, მათთვის გაცილებით უფრო გაიოლდება ბაზარში ბოსტნეულის მიწოდება და ა.შ. დაინტერესებულ პირთა || ჯგუფი — ორი გლეხი, რომელთა კუთვნილ მინის ნაკვეთებზეც ეს ახალი გზა გაივლის. ერთი შიშობს, რომ მისი საქონელი მანქანებს შეენირება, მეორეს კი ეშინია, რომ მისი სიმინდის ნათესები განადგურდება.
- 3.** სთხოვეთ სტუდენტებს, დისკუსიის სახით გაითმაშონ დაინტერესებულ მხარეთა როლები.

- 4.** იმსჯელეთ დაინტერესებულ მხარეთა განსხვავებულ პოზიციებზე და გააკეთეთ დასკვნები. მაგალითად, მოსწავლეებმა შეიძლება დაასკვნან, რომ გზა ნებისმიერ შემთხვევაში აშენდება, მაგრამ უნდა მოხდეს ზარალის ანაზღაურება. პირველ გლეხს შეიძლება მიეცეს კომპენსაცია დალუპული პირუტყვისათვის, მეორეს კი — კომპენსაცია ყანის განადგურებისთვის.
- 5.** მასწავლებელმა უნდა ჰქითხოს ბავშვებს, რატომ მივიდნენ ამ დასკვნამდე. რატომ მიაჩნიათ, რომ უმცირესობის ინტერესების უგულვებელყოფა არის „უსამართლობა“?



## მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეები:

- როლური თამაშის მეთოდის გამოყენებისას შეიძლება გაჩნდეს კლასის მართვის სირთულეები. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს აქტიურად უწევს მედიატორის როლის შესრულება.
- ასევე, საჭიროა მოსწავლეებისთვის ზუსტი ინსტრუქციების მიწოდება და მათი როლის განმარტება.
- როლური თამაში მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიაზრონ და გაააღმინონ რამდენიმე პოზიცია. ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები თავს სხვა ადამიანების (უმცირესობის) ადგილზე წარმოიდგენენ, რაც მათ მიერ გარემოს აღქმას გააუმჯობესებს.
- როლების განაწილებისას მასწავლებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მონაწილეებს კარგად აქვთ გააზრებული საკუთარი როლები და შეუძლიათ განსხვავებული თვალსაზრისის გამოხატვა.

## 1.3 მეთოდი ბ:

# სოკრატესეული დიალოგი

### საპარანძო სიტყვები

კითხვების დასმა, პირადი შეხედულებები,  
საპასუხო რეაქცია, დიალოგი



### აღნერა

სოკრატე ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი იყო, რომელიც კითხვების დასმის ოსტატობით გამოირჩეოდა. ის სთხოვდა მსმენელს, გამოეთქვა საუთარი აზრი, შემდეგ კი ამ აზრში ეჭვის შეტანას აიძულებდა შესაბამისი კითხვების დასმის მეშვეობით.

დიალოგის არსი მდგომარეობს შეხედულებებისა და პოზიციების გარკვევაში. მისი მიზანი არ არის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. სოკრატესეული დიალოგი მონაწილეთა ერთგვარ სასაუბრო განწყობას მოითხოვს.

ამ მეთოდის გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი პრინციპები:

- არ იჩქარო! – დიალოგი არის მსჯელობის აუჩქარებელი ფორმა, რომელიც სიღრმისეულობასა და გაგებაზეა აქცენტირებული.
- მოუსმინე! — ყურადღებით მოუსმინეთ მოსაუბრეს და ეცადეთ გაარკვიოთ მისი პოზიცია.
- დასვი კითხვები! — სწორი მოსაზრების ჩამოყალიბებისთვის დასვით კითხვები.
- იყავი კონცენტრირებული შენს მოსაუბრებზე! დაინახე სამყარო მისი თვალით! — ეცადეთ გარემოს თანამოსაუბრის თვალით შეზედოთ და გააანალიზოთ მისი პოზიცია.
- არ იფიქრო თანამოსაუბრის საწინააღმდეგოდ („დიახ, მაგრამ...“), იფიქრე მასთან ერთად. იფიქრეთ, როგორც ერთმა მთლიანმა („დიახ, და...“).
- წუ გაამახვილებ ყურადღებას საკითხის გადაწყვეტაზე. დაადგინე პრობლემის ძირეული მიზეზები, მისი მოგვარების მნიშვნელობა ან პერსპექტივა.
- შექმენი სივრცე ახლებური მზროვნებისათვის! გაცდი ძველებური მზროვნების ჩარჩოებს!

## მაგალითი:


# სოკრატესეული სპორტი

### სასწავლო პროგრამის თემა:

სათანადო პირებთან დიალოგის წარმოება

### ამოცანა:

შენს სოფელში ძალიან ბევრი ბავშვია,  
სათამაშო მოედანი კი არ არის. ბავშვებს  
სათამაშო მოედნის აშენება უნდათ, მაგრამ  
სოფლის ხელმძღვანელობა ამჩინე უარს ამზობს.



## ეტაპები:

- 1.** მოსწავლე მოუთხრობს თანაულასეულებს სიტუაციის შესახებ (15 წუთი).  
მასწავლებელი სვამს შემდეგ კითხვებს:
  - რა მოხდა (ფაქტები)?
  - შენ როგორ მოიქცი (ქმედება)?
  - რას ნიშნავდა ეს სიტუაცია შენთვის (ემოციები, გამოცდილება)?
  - რა საკითხები მოითხოვს დამატებით შესწავლას?
- 2.** დანარჩენი მოსწავლეები სვამენ კითხვებს ვითარების დასაზუსტებლად (10 წუთი).
- 3.** მოსწავლეები წარმოიდგენენ თავს იმ მოსწავლის ადგილზე, რომელმაც მათ აღნიშნული სიტუაციის შესახებ მოუთხრო.
- 4.** ყველას ეძლევა რამდენიმე წუთი, რათა ჩამოაყალიბონ საერთო ჩირი: პრინციპები ან ღირებულებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ კონკრეტულ შემთხვევაში (10 წუთი).
  - თქვენი ჩირით, რა არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (არსი)?
  - რა ძალისხმევაა საჭირო ამის მისაღწევად?
  - კიდევ რა არის აუცილებელი?

## მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეები:

- სოკრატესეული დიალოგის გამოყენებისას მოსწავლეები სიტუაციის სწორად გაანალიზებასა და მნიშვნელოვანი კითხვების დასმას სწავლობენ. თითოეული მოსწავლე ჩართულია სწავლების პროცესში და საკუთარ თავს სხვა ადამიანის ადგილზე წარმოიდგენს, რაც მის მიერ გარემოს აღქმას აუმჯობესებს;
- სოკრატესეული მეთოდის გამოყენებისას შეიძლება წარმოიქმნას კლასის მართვის სირთულეები. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს აქტიურად უწევს მედიატორის როლის შესრულება;
- ამ მეთოდის გამოყენებისას საჭიროა მოსწავლეებისთვის ზუსტი ინსტრუქციების მიცემა და მათი როლის განმარტება;
- ეს მეთოდი საჭიროებს წინასწარ მომზადებას როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეების მხრიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შეიძლება საწყის ეტაპზევე გახდეს არაეფექტური. თემად შეიძლება აირჩიოთ სკოლის მოსწავლეებისთვის აქტუალური და რეალური პრობლემა.



სწავლების პონტეფია:

**აზროვნებაზე  
ორიენტირებული  
სწავლება**

## 2.1

### რას გულისხმობს აღნიშნული კონცეფცია?

ბიპევიორისტული მიდგომისგან განსხვავებით, აზროვნებაზე ორიენტირებულ კონცეფციაში ყურადღება გამახვილებულია არა ქცევის მოდელირებაზე, არამედ კოგნიტურ პროცესებზე – აზროვნებაზე.

აზროვნებაზე ორიენტირებული სწავლებისას ყურადღება გამახვილებულია სწავლების დროს ადამიანის მიერ კოგნიტური სქემების ჩამოყალიბებასა და მოვლენების დამახსოვრებელზე.

კოგნიტური მიდგომის მიხედვით, ადამიანი სწავლობს დასკვნების, მოლოდინებისა და მოვლენების გზით.

შეგვიძლია გამოყოთ აზროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპები, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელია სწავლების პროცესის გაუმჯობესება. ეს პრინციპია:

- **მკაფიოდ ჩამოყალიბებული და სტრუქტურირებული ინფორმაცია –** მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, პრეზინტაციის სახით იქნება ის თუ სასწავლო მასალის სახით, უნდა იყოს სტრუქტურირებული. ჩამოყალიბებულ მოსაზრებასა და დამსარე არგუმენტებს შორის უნდა არსებობდეს მკაფიოდ განსაზღვრული კავშირი, რომელიც ერთ საბოლოო იდეაში ერთიანდება. ეს მოსწავლეს საშუალებას აძლევს ადვილად დაამყაროს კავშირები და ჩამოყალიბოს სქემები.
- **ინფორმაციის ალქმა –** მოსწავლე შერჩევითად აღიქვამს და აანალიზებს ინფორმაციას, ამიტომ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ფორმით მოხდება პრობლემის წამოჭრა და მისი შემდგომი გაანალიზება.
- **უკვე არსებული ცოდნა –** მნიშვნელოვანია, რომ ახალი ინფორმაციის მიწოდება უკვე არსებულზე დაყრდნობით მოხდეს. მაგალითად, თუ მოსწავლები ფლობენ მცირე ინფორმაციას ევროპის ქვეყნების საპარლამენტო სისტემის შესახებ, შეიძლება დამატებითი გაკვეთილის ჩატარება, სადაც მოხდება უკვე არსებული ცოდნის გახსნება და ახალი ინფორმაციის დამატება.
- **უკუკავშირი –** გულისხმობს გაუვეთილის დასასრულს გამოკითხვის დახმარებით მოსწავლის წარმატებაზე ყურადღების გამახვილებას ან არასწორად მოწოდებული ინფორმაციის კორექტირებას. სწავლების განმავლობაში მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის ორგანიზებული მიწოდება, რაც მოსწავლეს შეუქმნის. ის ასევე უნდა მიეხმაროს მოსწავლეებს მოვლენების სწორად გაანალიზებასა და დასკვნების გამოტანაში.

## 2.2 მეთოდი გ:

### პლენარული პრეზენტაცია



#### საკვანძო სიზყვაბი

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები,  
პლენარული პრეზენტაცია, სახელმძღვანელო,  
დისკუსია

#### აღწერა

მასწავლებელი სტუდენტებთან ერთად  
განიხილავს ქვეყანაში ბოლო პერიოდში  
განვითარებულ მოვლენებს და ამ მოვლენებზე  
დაყრდნობით არცევს, როგორ მიმდინარეობს  
დემოკრატიის განვითარება და როგორია  
ამ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა.  
პლენარული პრეზენტაციისთვის შეიძლება  
გამოყიყნოთ დემოკრატიაზე შექმნილი  
სახელმძღვანელო და პრეზენტაცია მოყლე  
დისკუსიით დაგასრულოთ.

პლენარული პრეზენტაცია არის სწავლების  
ძალიან ეფექტური მეთოდი, განსაკუთრებით  
მაშინ, როდესაც მასწავლებელს სურს  
მიაწოდოს მოსწავლეებს ისტორიული ფაქტები  
ან ინფორმაცია ქვეყანაში განვითარებული  
მოვლენების შესახებ. მოსწავლეებს ეძლევათ  
შესაძლებლობა, მოუსმინონ მასწავლებელს,  
ჩაიწერონ შენიშვნები და დასვან კითხვები.  
პრეზენტაციის შემდეგ შეიძლება ტესტირების  
ჩატარება ან დებატების გამართვა.

## მაგალითი:

### მასწავლებლის პრეზენტაცია

#### სასწავლო პროგრამის თემა:

შეისწავლეთ და წარმოადგინეთ ისტორიული ფაქტები ქვეყანაში არსებულ დემოკრატიასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება შესაძლებელია მოკლე გამოცდის დახმარებით.

#### ამოცანა:

კლასის წინაშე განიხილეთ ისტორიული ან ბოლო პერიოდში ქვეყანაში განვითარებული მოვლენა და ხელი შეუწყეთ მოსწავლეთა შორის დიალოგის გამართვას.

## ეტაპები:

1. მასწავლებელი ამზადებს 20-წელიან პრეზენტაციას ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე, დემოკრატიის ისტორიასა ან არსებულ პოლიტიკურ სტრუქტურაზე. პრეზენტაცია შეიძლება მომზადდეს არსებული სახელმძღვანელოდან, გზითიდან ან ინტერნეტიდან ამოღებულ მასალზე დაყრდნობით.
2. პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ დასვან კითხვები.
3. მოსწავლეებს ურიგდებათ დემოკრატიასთან დაკავშირებული კითხვარი, რომელიც შედგენილია სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, მაგალითად, იმის შესახებ, როგორი დემოკრატია არსებობდა ძველ საბერძნეთში ან რომში.

## მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეები:

- პლენარული პრეზენტაციის გამოყენებისას მოსწავლეები თემასთან დაკავშირებით ზუსტ და ამომზურავ ინფორმაციას იღებენ. ეს მეთოდი მოსწავლეებს ამა თუ იმ თემაზე გაანალიზების საშუალებას აძლევს.
- პლენარული პრეზენტაციის გამოყენება საჭიროებს მასწავლებლის მხრიდან წინასწარ მომზადებას. ასევე საჭიროა მოსწავლეების-თვის ზუსტი ინსტრუქციების მიცემა და მათი როლის განმარტება.



## 2.3 მეთოდი დ:

### ნარმოსახვა

საპავანდო სიტყვები

აღნერა

სასწავლო პროგრამის თემა: ძლიერი სურვილი,  
ნარმოსახვა, აღქმა, ისტორია

ნარმოსახვა სწავლის ყველაზე ოპტიმალური  
საშუალებაა. მისი დახმარებით მოსწავლეები  
ნარმოიდგენენ, როგორ შეიძლება აღიქვან  
ესა თუ ის პრობლემა თუ სიტუაცია. ამას  
გარდა, ის მათ საშუალებას აძლევს ისტორიას  
გადახედონ და ნარმოიდგინონ, როგორი  
იქნებოდა მათი ცხოვრება სხვადასხვა დროს.



## მაგალითი:

### წარმოიდგინე, რომ ცხოვრობ მეორე მსოფლიო ომის დროს

#### სასწავლო პროგრამის თემა:

გაუზიარეთ ერთმანეთს ცოდნა მეორე  
მსოფლიო ომის შესახებ და აღმოაჩინეთ  
მსგავსებები და განსხვავებები თქვენს  
ქვეყნასთან.

#### ამოცანა:

მოსწავლებისთვის წარმოსახვა სწავლის  
ყველაზე ოპტიმალური საშუალებაა. ამ  
დავალებისას მოსწავლეებს მოეთხოვებათ,  
წარმოიდგინონ გარკვეული სიტუაცია,  
მაგალითად, რომ მეორე მსოფლიო ომის  
დროს გერმანიაში ცხოვრობენ, და ეს ამბავი  
წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბონ ან ამაზე  
დისკუსიის სახით ისაუბრონ.


## ეტაპები:

- 1.** მასწავლებლის პლენარული პრეზენტაცია  
მეორე მსოფლიო ომის შესახებ.
- 2.** მოსწავლეები წარმოიდგენენ კონკრეტულ  
სიტუაციას.
- 3.** მოსწავლეები ინდივიდუალურად წერენ  
მოკლე ნაშრომს სიტუაციის შესახებ.
- 4.** მასწავლებელი ირჩევს ორ ნაშრომს და  
საყაროდ უკითხავს მათ ბავშვებს.

## მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეები:

- წარმოსახვის მეთოდის გამოყენებისას  
მოსწავლეები იღებენ თემასთან დაკავშირებულ  
ზუსტ და ამომზურავ ინფორმაციას. ამ დროს  
ისინი ეცნობიან განსხვავებულ პირიციას და  
აანალიზებენ ფაქტებს.
- აუცილებელია წინასწარი მომზადება  
მოსწავლეებისათვის, რათა მზად იყვნენ  
გაცემილისა და წარმოსახვის მეთოდის  
გამოყენებისთვის. ასევე საჭიროა მათვის  
ზუსტი ინსტრუქციების მიცემა და მათი  
როლის განმარტება.





სწავლების პონდეფია:

განვითარებაზე  
ორიენტირებული  
სწავლება

# 3.1

## რას გულისხმობას აღნიშნული კონცეფცია?

განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება ყურადღებას პიროვნულ ზრდაზე ამახვილებს. ამ კონცეფციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება განცდებს, ემოციებსა და თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლებას. ამ მიზანის დაყრდნობით უნდა მოხდეს სწორედ ამ კომპონენტების გაძლიერება.

პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უმაღლეს მოთხოვნილებაზე – თვითაქტუალიზაციაზე, რაც გულისხმობას ადამიანის მიერ საჯუთარი შესაძლებლობების, უნარების სრულ რეალიზებას.

თვითაქტუალიზება პიროვნების ერთ-ერთი უმაღლესი მოტივია და პიროვნების განვითარების უმაღლეს დონეს გულისხმობას.

მისი მიღწევა შესაძლებელია, თუ სხვა ბაზისური მოთხოვნილები უკვე დაკმაყოფილებულია და როდესაც შესაძლებელი ხდება პიროვნების სრული პოტენციალის გამოვლენა (იხილეთ დანართი).

კონცეფციიდან გამომდინარე თვითაქტუალიზება გულისხმობას სასწავლო გარემოს, რომელიც ადამიანს საჯუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზების (გამოვლენის) საშუალებას აძლევს.

ის ასევე განაპირობებს ადამიანის სრულ ჩართულობასა და მოტივირებულობას.

პიროვნებიზე ორიენტირებულ სწავლება ხასიათდება შემდეგი კომპონენტებით:

- **ადამიანის ჩართულობა** – ადამიანი სრულად არის ჩართული სასწავლო პროცესში. ამავე ტერმინით აღინიშნება სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლის აზროვნება და ემოციური მხარე.
- **ინიციატივა** – მნიშვნელოვანია პიროვნების მოტივირება გარეგანი ფაქტორების დახმარებით. თუმცა, ისეთ გარემოში, სადაც მოსწავლეს შეუძლია საკუთარი უნარების გამოვლენა, ინიციატივა შეიძლება შინაგანი მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობდეს და აღმოჩენების გაკეთების სურვილს აღვივებდეს.
- **მოსწავლის მიერ სწავლების პროცესის შეფასება** – თითოეული მოსწავლე აფასებს სწავლების პროცესში მიღებული ინფორმაციის გამოსადევობას, მის საჭიროებას ან საჭიროების არ არსებობას.

## 3.2 მეთოდი ე:

# პოლიტიკური მანიფესტი

### საკვანძო სიტყვები

სამუშაო ჯგუფებად დაყოფა, პირადი პოლიტიკური შეხედულებების წერილობით ჩამოყალიბება, კამათი, გადაჭრის გზები, კოალიციების შექმნა

### აღნერა

მოსწავლეები იყოფიან სამუშაო ჯგუფებად და განსაზღვრავენ მათ სოფელსა თუ ქალაქში არსებულ პრობლემებს. ამის შემდეგ წერილობით აყალიბებენ პოლიტიკურ მანიფესტს პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით. მცირე ჯგუფებში მიმდინარეობს პრობლემის გადაჭრის გზებისა და პოლიტიკური მანიფესტის განხილვა და, შეძლებისდაგვარად, კოალიციების შექმნა.



## მაგალითი:

### რას ფიქრობ შენ?

#### სასწავლო პროგრამის თემა:

სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიისა და მათ შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების განხილვა.

#### ამოცანა:

ის, რასაც მოსწავლე მისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს, როგორი შესაცვლელია. ამ შემთხვევაში, ჩვენი ამოცანაა, დავარწმუნოთ მოსწავლე განსხვავებული აზრებისა და შეხედულებების არსებობასა და მისაღებობაში.

## ეტაპები:

- 1.** დაასახელეთ საზოგადოებაში არსებული პრობლემები და სთხოვეთ მოსწავლეებს, წერილობით ჩამოყალიბონ პოლიტიკური მანიფესტი. მანიფესტის დაწერის პატარა ჯგუფები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მანიფესტებს.
- 2.** განსაზღვრეთ და ჩამოწერეთ დაფაზე მსგავსებები და განსხვავებები;
- 3.** მასწავლებელი აჯილდოვებს საუკეთესო პოლიტიკური მანიფესტის მქონე ორ სტუდენტს.

## მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეები:

- მეთოდის გამოყენებისას მოსწავლე ჩართულია სასწავლო პროცესში, ის სწავლობს საკუთარი აზრის ფორმულირებას და დასაბუთებას;
- პრაქტიკულისთვის მასწავლებელი წინასწარ მომზადებული უნდა იყოს, მან მოსწავლეებს დეტალურად უნდა გააცნოს დავალება (შესაძლოა საჭირო გახდეს მანიფესტის ფორმატის ჩვენება, რათა მოსწავლეებმა იმავე სტილით იმუშაონ).

### 3.3 მეთოდი 3:

## იპოვე შენი ინტერესთა სფერო



### საკვანძო სიზყვაბი

ჯგუფური დისკუსიის წახალისება, გატაცება,  
დანიშნულება (მისია), შესწავლა, კითხვების  
დასმა, პასუხები

### აღნერა

“იპოვე შენი ინტერესთა სფერო” მიზნად  
ისახავს მოსწავლეებში ჯგუფური დისკუსიის  
წახალისებას პიროვნული თვისებებისა და  
გატაცებების თემაზე:

რის გაკეთება გინდა ამ ცხოვრებაში? რა არის  
შენი დანიშნულება, ”მისია”? ამ საკითხების  
შესწავლით მოსწავლეები უკეთ ეცნობიან  
ერთმანეთის ძლიერ მხარეებს, ამბიციებსა და  
ოცნებებს.

## მაგალითი:

### რა არის შენი ინტერესთა სფერო?

#### სასწავლო პროგრამის თემა:

პირადი ოცნებებისა და ამბიციების  
დაკავშირება ქვეყანაში განვითარებულ  
მოვლენებთან და იმის გარკვევა, რამდენად  
უკავშირდება შენი პიროვნული განვითარება  
ქვეყნის განვითარებას.

#### ამოცანა:

მთავარი ამოცანაა პირადი ოცნებებისა და  
ამბიციების განსაზღვრა და მათი დაკავშირება  
ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან.  
როგორ შეუძლია მოსწავლეს რამე შემატოს  
თავის ქვეყანას?

## ეზაკები:

- 1.** ■ მოსწავლეები მუშაობენ სამწევრიან  
ჯგუფებში. ისინი უსვამენ კითხვებს  
(ინტერვიუ) ერთმანეთს და ინერენ პასუხებს.  
ამის შემდეგ, შედგება პასუხების საჯაროდ  
განხილვა.

კითხვები, რომლებსაც მოსწავლეები  
ერთმანეთს უსვამენ, შემდეგია:  
– რა გსურს, რომ გამოხვიდე?  
– რისი გავეთება მოგწონს?  
– რისი ნიჭი გაქვს?

- 2.** ■ ის, ვინც კითხვებს სვამს, პასუხებს ინიშნავს  
და ინტერვიუს ბოლოს ორი სხვა მოსწავლე  
ძირითად დასკვნებს აჯამებს.

- 3.** ■ სავარჯიშოს ბოლოს მასწავლებელი  
მსჯელობს ზემოაღნიშნულ ინტერვიუზე  
– როგორ თუ იოლია ამის გავეთება?

## მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეები:

- ამ მეთოდის გამოყენებისას მოსწავლე  
ჩართულია სასწავლო პროცესში, სწავლობს  
საკუთარი აზრის ფორმულირებასა და  
დასაბუთებას;
- ამ მეთოდის გამოყენებისას მოსწავლე  
აცნობიერებს საკუთარ ინტერესებს.
- მოსწავლეთა ინტერესთა სფერო დღითიდლე  
ფართოვდება. მასწავლებელმა ხშირად უნდა  
ჩაატაროს კვლევა იმის დასადგენად, თუ  
როგორ ვითარდებიან და იცვლებიან  
მოსწავლეთა ინტერესები.

4

სწავლების პონცეფცია:

ურთიერთაქტივობაზე  
ორიენტირებული  
სწავლება

# 4.1

## რას გულისხმობას ეს კონცეფცია?

სოციალური დასწავლის კონცეფციის მიხედვით, ადამიანები ერთმანეთისგან სწავლობენ. ამ კონცეფციიდან გამომდინარე სწავლების პროცესი ეფუძნება დაკვირვებას, სიტუაციის მოდელირებასა და იმიტირებას.

სოციალური დასწავლის თეორიის თანახმად, ადამიანები ერთმანეთის ქცევიზე დაკვირვებით იღებენ ინფორმაციას და ამა თუ იმ ქცევის დასწავლაც სწორედ სხვა ადამიანზე დაკვირვებითაა შესაძლებელი.

სოციალური დასწავლის კონცეფციის განსახორციელებლად მთავარი ამოცანა ეფექტური ურთიერთაქტივობის, თანამშრომლობისა და შინაარსის უზრუნველყოფაა.


სწავლების დროს მასწავლებლის ყურადღება გადატანილი უნდა იყოს მოსწავლეთა შორის ურთიერთობის ხელშეწყობასა და მოსწავლეების მიერ სიტუაციის სწორად გაანალიზებაზე. გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელი ითავსებს ფასილიტატორის როლს და თავად არ არის დისკუსიაში აქტიურად ჩართული. პარალელურად აქცენტი კეთდება არა ინდივიდუალურ, არამედ ჯგუფურ დინამიკაზე.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ახდენს შეჯამებას, რომელიც მოსწავლეებს სიტუაციის სწორად გაანალიზებაში ეხმარება.

**მაგალითად,** როდესაც მასწავლებელი გაკვეთილზე ამა თუ იმ სიტუაციის მოდელირებას ახდენს (ვთქვათ, საპარლამენტო დებატები) ან წაახალისებს მოკლე დისკუსიების გამართვას, ის ამით ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან ინფორმაციის გაზიარებასა და ურთიერთდაკვირვებას.

## 4.2 მეთოდი 8:

# ბრიტანული ფორმატის საპარლამენტო დებატები



### საკვანძო სიზყვაბი

კამათი, ინტერაქტიულობა, მოდერატორი,  
მოსმენა, შეჯამება

### აღწერა

პრიტანული პარლამენტი დემოკრატიისა  
და ცოცხალი დისკუსიების ცნობილი  
მაგალითია. სხვადასხვა ჯვეფებს შორის  
იმართება ცხარე დებატები, რომლის დროსაც  
მონაწილეებმა მტკიცედ უნდა დაიცვან  
თავიანთი პოზიცია. დებატების დროს  
მოდერატორი უზრუნველყოფს იმას, რომ  
პარლამენტარებმა ერთმანეთს სიტყვა არ  
შეაწყვეტინონ. დადგენილია ერთმანეთის  
მოსმენისა და კამათის წარმართვის მეცნიერება.  
წესები. დებატების დროს ემოციებმა შეიძლება  
პიქს მიაღწიოს. პარლამენტის წევრები ზოგჯერ  
განრისხებულებიც არიან, მაგრამ პარლამენტის  
გარეთ ოპონენტებს თავაზიანად ექცევიან. ეს  
არის დებატების არსი, მასში არ არის არაფერი  
პირადული.

## მაგალითი:

### დაამტკიცე შენი პოზიცია

#### სასწავლო პროგრამის თემა:

კონკურენტულ საკითხზე თანაკულასელებთან  
პაექრობა და სხვადასხვა როლის გათავისება  
(მეთვალყურე, მომხრე, მოწინააღმდეგე).

#### ამოცანა:

შეუძლია თუ არა მოსწავლეს კონკურენტულ  
საკითხზე მწვავე კამათი, ურთიერთაქტივობა  
თანაკულასელებთან და ამავე დროს სხვადასხვა  
როლის გათავისება?

## ეტაპები:

1. მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს კომუნიკაციისა და დებატების წესების ასსნით;
2. იქმნება სამი ჯგუფი: მეთვალყურეები, მომხრეები და მოწინააღმდეგეები;
3. ჯგუფები ენაცვლებან ერთმანეთს და მასწავლებელი წარმოადგენს სამ საკითხს, რომელიც დებატების ამოსავალი წერტილია;
4. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს მათ შთაბეჭდილებებს აქტივობასთან დაკავშირებით, რომელი როლი მოეწონათ მეტად და რისი გაუმჯობესება სურთ.


## მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეები:

- ამ მეთოდის დახმარებით მონაწილეები სწავლობენ საკუთარი მოსამართის მკაფიოდ და არგუმენტირებულად დასაბუთებას;
- პრაქტიკულის განმავლობაში მასწავლებელმა უნდა შეასრულოს მოდერატორის როლი და დაარეგულიროს მოსწავლეების მოქმედებები.



## 4.3 მეთოდი 3:

# სწრაფი გაცნობა/ მსოფლიო კაფე



### საპავანდო სიტყვები

სახალისო, სწრაფი, მოკლე დისკუსიების  
მონაცემლება

### აღწერა

სწრაფი გაცნობა/მსოფლიო კაფე არის ბევრი ადამიანის შედარებით მოკლე დროში გაცნობის მეთოდი. ეს ძალიან სახალისო და სწრაფი პროცესია. საყლასო ოთახი ეწყობა კაფის მსგავსად: მაგიდებს გარშემო ლაგდება ოთხი ან ხუთი სკამი. ყოველ მაგიდასთან ზის „რეგულარული მომხმარებელი“, რომელიც არ იცვლის ადგილს სავარჯიშოს დასრულებამდე. სხვა მოსწავლეები მოძრაობენ ოთხ ან ხუთ რაუნდად. მაგიდაზე დევს საქალალდე ფურცლებით. თითოეულ რაუნდში მოსწავლეები ფიქრობენ მოცემულ თემაზე და წერენ თავიანთ მოსაზრებებს და ვარაუდებს. რაუნდი გრძელდება 15 წუთის განმავლობაში. ამის შემდეგ მოსწავლეები ცვლიან ადგილებს. მხოლოდ „რეგულარული მომხმარებელი“ რჩება თავის ადგილას. ის ზრუნავს, რომ შემდეგი მსჯელობა ეფუძნებოდეს პირველს. ის აჯამებს სესიების შედეგებს და ახალისებს მოსწავლეებს განავითარონ იდეები უკვე არსებულის საფუძველზე.

## მაგალითი:

### ვინ ან რა?

#### სასწავლო პროგრამის თემა:

კლასელთა პოზიციის დადგენა; დემოკრატიის შესახებ კონკრეტული შეხედულებების ან ნორმათა სისტემის განხილვა და ინტერაქტიურობა.

#### ამოცანა:

ამ აქტივობისას მოსწავლეები განავითარებენ მოსაზრებებს სხვების იდეების საფუძველზე. ეს საგარჯო არაეფექტურია, თუ მოსწავლეებს ერთი და იგივე თემები აქვთ სხვადასხვა სესიებში. ის შედეგიანია მხოლოდ მაშინ, თუ მოსწავლეები ერთმანეთის მოსაზრებებზე აგებენ საკუთარს.

## ეტაპები:

- 1.** ■ მოაწყეთ საკლასო ოთახი კაფის მსგავსად. მაგიდების გარშემო დადგით ოთხი ან ხუთი სკამი. დარწმუნდით, რომ სკამი ყველა მოსწავლეს შეხვდა. მაგიდებზე დადეთ ფურცლები და ფლომასტერი. დანიშნეთ „რეგულარული მომხმარებელი“ თითოეული მაგიდისათვის. ისინი არ შეიცვლიან ადგილებს რაუნდების დროს. თითოეული მაგიდისათვის დაწერეთ ცენტრალური კითხვები, რომლებიც უკავშირდება თქვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. დაწერეთ კითხვები მტკიცებულების სახით, მაგალითად: „ხმის მიცემის უფლების მიცემა რეკომენდებულია 18 წლის შემდეგ“.
  - 2.** ■ მოსწავლეები 15 წუთის განმავლობაში წყვილებად განიხილავენ ამ მტკიცებულებას. ისინი ეთანხმებიან მას ან საწინააღმდეგო აზრს გამოხატავენ.
  - 3.** ■ 15 წუთის შემდეგ მოსწავლეები ცვლიან ადგილებს, მთელი ჯგუფი გადადის სხვა მაგიდასთან, სადაც მათ სხვა მტკიცებულება ხვდება. ისინი განავითარებენ ამ მტკიცებულებას.
  - 4.** ■ „რეგულარული მომხმარებელი“ აჯამებს პირველი ჯგუფის დისკუსიის შედეგებს და მოსწავლეები კვლავ იმეორებენ ამ პროცესს.
- შეასრულეთ ზემოაღნიშნული 4-ჯერ ან 5-ჯერ.

## მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეები:

- ამ მეთოდის დახმარებით მონაწილეები სწავლობენ სხვების მოსაზრებების გაანალიზებას და მათი იდეების განვითარებას;
- ეს მეთოდი მოითხოვს მოსწავლეების აქტიურობას, ამიტომ მასწავლებელმა უნდა შეასრულოს ფასილიტატორის როლი და მოსწავლეებს შორის საუბარი უნდა დაარეგულიროს;
- ამ მეთოდის ეფექტურად განხორციელებისთვის სასურველია, სასაუბრო თემები წინასწარ იყოს მომზადებული და მოსწავლეებს თემატიკასთან დაკავშირებით თავიანთი ზრი ჰქონდეთ ჩამოყალიბებული.

5

სწავლების პონცეფტია:

**გამოცდილებაზე  
ორიენტირებული  
სწავლება**

# 5.1

## რას გულისხმობას ეს კონცეფცია?

ადამიანის ცხოვრება გამოცდილებათა ერთობლიობაა. გამოცდილებაშე ორიენტირებული სწავლება განიხილება, როგორც ცოდნა, რომელიც გამოცდილების განალიზების შეით ყალიბდება.

გამოცდილებაშე ორიენტირებული სწავლების იდეა ეფუძნება ადამიანის მიერ საჯუთარ ან სხვის გამოცდილებაშე დაკვირვებას, მის გაანალიზებასა და შემდგომ ქცევაში გადატანას.

მასწავლებელს ევალება მოსწავლეთათვის სასწავლო გამოცდილების შექმნა. ის მოსწავლეს უნდა დაეხმაროს გამოცდილების სწორად გაანალიზებაში, უნდა მისცეს მიმართულება შემდგომი ქცევის განხორციელებისთვის.

**მაგალითად:** სთხოვეთ მოსწავლეებს, განიხილონ მათ ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები მათ მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან ერთად. ისინი აუცილებლათ მიიღებენ გარკვეულ ცოდნას ამ გამოცდილებიდან. სთხოვეთ განიხილონ მათი პირველი პრეზენტაცია კლასში მასწავლებელთან ან კლასელებთან.

ამბის გაანალიზების მიზნით დასვით შემდეგი კითხვები:

- რა ფაქტორმა მოახდინა მათზე შთაბეჭდილება?
- რა იყო მათთვის საინტერესო?
- რა იყო ნაკლებ საინტერესო?
- რა დეტალებს დაამატებდნენ ან რას გააუმჯობესებდნენ?
- რატომ შეცვლიდნენ ამა თუ იმ დეტალს?
- რა შედეგს მოიტანდა ამა თუ იმ დეტალის შეცვლა?


კითხვების დასმის შემდეგ გააკეთეთ კომენტარი და შეაჯამეთ მოსწავლეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია, რომ გამოცდილებაზე ორიენტირებული სწავლის კონცეფცია უაღრესად სუბიექტურ ფაქტორებზეა დაყრდნობილი, ვინაიდნ სიტუაციის აღქმა და გაანალიზება პიროვნებაზეა დამოკიდებული.

მასწავლებლის როლი ამ შემთხვევაში მოსწავლეთათვის მოვლენების სწორად ჩვენებაში, მათი გაანალიზებისა და გამოცდილების შექმნის ხელშეწყობაში მდგომარეობს.

## 5.2 მეთოდი:

### ვიზიტი მერიაში/ პარლამენტში.



საკვანძო სიტყვები

გამოსცადე, იფიქრე, ეწვიე, ნახე, ისაუბრე

აღწერა

საინტერესო ადგილების მონახულება  
ხშირად კარგ გამოცდილებას იძლევა.  
ასეთ ვიზიტები მნიშვნელოვანია ის, რომ  
შეგიძლია ნახო და შეიგრძნო განსხვავებული  
რამ, შეხვდე სხვა ადამიანებს. როდესაც  
საქმე დემოკრატიასთან დაკავშირებულ  
გამოცდილებას ეხება, შეგიძლია ეწვიო  
დემოკრატიის განმსაზღვრულ მნიშვნელოვან  
ადგილებს, მაგალითად, მუნიციპალიტეტს  
ან პარლამენტს. დემოკრატიის ან  
სამოქალო თანამონაწილეობის შესაბამისი  
ადგილების მონახულება ხშირად  
უნიკალურ გამოცდილებას ქმნის. მხოლოდ  
ამგვარად შეიგრძნობს მოსწავლე, როგორ  
ფუნქციონირებს დემოკრატია რეალობაში.

მაგალითი:

## დემოკრატია

სასწავლო პროგრამის თემა:

დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ადგილები

ამოცანა:

დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ადგილების  
მონახულება და შესაბამისი საკითხების  
განხილვა.

ეტაპები:

- 1.** მერიაში ან პარლამენტში ვიზიტის  
შეთანხმება.
- 2.** მოსწავლეებთან ერთად შეხვედრისთვის  
მზადება:  
რა გინდათ, რომ ნახონ და გაიგონ  
მოსწავლეებმა? მოსწავლეებთან ერთად  
განსაზღვრეთ შესაბამისი კითხვები.
- 3.** ეწვიეთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს  
ან პარლამენტს და განიხილეთ შესაბამისი  
კითხვები.



## 5.3 მათოდი პ:

# გაესაუბრეთ მერს/ უურნალისტს/ პოლიციელს



საკვანძო სიტყვები

დიალოგი, გამოცდილება, უურნალისტი

აღნერა

რეალურ ცხოვრებაში, როგორც წესი, კითხვებს უურნალისტი სვამს. მოდით, შევცვალოთ როლები და ვნახოთ, შეძლებენ თუ არა მოსწავლეები უურნალისტის მოქებნას და მისთვის ინტერვიუს ჩამორთმევას. კითხვები შემდეგი სახის შეიძლება იყოს:

- რაში მდგომარეობს თქვენი სამუშაო?
- რატომ გახდით უურნალისტი?
- ყველაზე მეტად რა მოგწონთ თქვენს პროფესიაში?

შესაბამისი პირისთვის ინტერვიუს ჩამორთმევა დემორატიულ პროცესში შეიძლება მნიშვნელოვანი სავარჯიშო იყოს თქვენი მოსწავლეებისთვის. ისინი არა მარტო ინფორმაციას მიიღებენ დემორატიული პროცესების შესახებ, არამედ ამ პროცესებს საკუთარ თავზეც გამოცდიან!

მაგალითი:

## პკითხე ურნალისტს

### სასწავლო პროგრამის თემა:

მოსწავლები განავითარებენ კითხვის დასმის უნარს და შეიტყობენ იმ პირთა როლების შესახებ, რომლებიც დემოკრატიულ პროცესში არიან ჩართულნი.

### ამოცანა:


დასვით ისეთი კითხვები, რომლებსაც თქვენთვის სასურველი პასუხები მოჰყვება.

ეტაპები:

- 1.** ურნალისტთან, მერთან ან პოლიციელთან ინტერვიუს ორგანიზება;
- 2.** მოსწავლეები წერილობით აყალიბებენ იმ კითხვებს, რომლებიც სურთ დაუსვან მერს, ურნალისტს, პოლიციელს;
- 3.** კითხვებზე ფართო დისკუსიის გამართვა მოსწავლეთა მიერ;
- 4.** კითხვების ჩამონათვალის შედგენა;
- 5.** დასასრულს შედგება გამოკითხვა და შედეგების საკლასო დაფაზე ჩამოწერა.

მეთოდის ძლიერი და სუსტი  
მხარეები:

- შესაძლოა გაძნელდეს ასეთი სახის გამოცდილების მიღება თქვენს ქალაქსა თუ რეგიონში. გაითვალისწინეთ, რომ ამ აქტივობას აქვს სიმბოლური დატვირთვა, რაც გულისხმობს, რომ აუცილებელია იმ ადგილების მონახულება, სადაც დემოკრატია და სოციალური მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია.
- ყურადღებით მოამზადეთ კითხვები ურნალისტებსა და პოლიციელებთან შეხვედრისათვის, რადგან, შესაძლოა მოსწავლეებმა ვერ გააცნობიერონ ამ შეხვედრების რეალური მნიშვნელობა.



დანართი:

# აბრაჰამ მასლოუ და ერიქ ფრომი

პიროვნული თეორიები ხშირად სამი ძირითადი კატეგორიის მიხედვით კლასიფიცირდება:

**1. ფსიქოანალიზი** განიხილავს პიროვნებას, როგორც არსებას ინსტიტური და ინტრატსიური კონფლიქტებით.

**2. ბიჰევიორიზმი** წარმოვიდგენს პიროვნებას გარემო სტიმულებზე დამორჩილებულ, პასურ მსხვერპლად.

**3. ჰუმანისტური ფსიქოლოგია, რომელიც** არის ყველაზე ახალგაზრდა მიმდინარეობა ფსიქოლოგიაში, (მას მესამე ძალასაც კი უწოდებენ) განიხილავს პიროვნებას სრულიად განსხვავებული კუთხით და აცხადებს, რომ ადამიანი ბუნებრივად კეთილი, აქტიური, შემოქმდებითი არსება, რომლიც მისინათვის სრულყოფისაკენ და თავისუფალია არჩევანიში. ჰუმანისტების თეორიაში წინ არის წარმოვნული ადამიანის სუბიექტური როლი და შესაძლებლობა თავად შექმნას საჯუთარი ცხოვრება (პიროვნების ეგზისტენციალური ხედვა).

ჰუმანისტური ფსიქოლოგის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია აბრაჰამ მასლოუ. იგი თვლიდა, რომ: „ადამიანი სხვა არაფერია გარდა იმისა, როგორადაც იგი ქმნის საჯუთარ თავს”, თავისუფალია არჩევანში.

აქედან გამომდინარე იგი საჯუთარ ქცევაზე აგებს პასუხს. მასლოუ ეყრდნობა სარტრის გამონათქვამს: „მე ვარ ჩემი არჩევანი”.

ადამიანი მუდმივი ძიებისა და საჯუთარი თავის სრულყოფის გზას ადგას. ეს არის ზოგადი შეხედულება მასლოუს თეორიის შესახებ, თუმცა ყველაზე ცნობილი მოდელი, რომელიც მან ფსიქოლოგიაში შექმნა, მოთხოვნილებათა პირამიდაა.

მასლოუმ ივარაუდა, რომ ადამიანის ყველა მოთხოვნილება თანდაყოლილი და ინსტიტურია და ისინი იერარქიული პრინციპით არიან განლაგებულნი ერთიან სისტემაში, რომელიც შეიძლება პირამიდას შევადაროთ. მოთხოვნილებები შემდეგი თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი:



- ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები;
- უსაფრთხოების მოთხოვნილება;
- მიუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება;
- თვითპატივისცემის მოთხოვნილება;
- თვითაქტუალიზაციის, ან პირადი სრულყოფის მოთხოვნილება;

სქემის არს წარმოადგენს ის, რომ დომინანტური მოთხოვნილებები მოთავსებულია პირამიდის ქვედა მხარეს, შესაბამისად, ზედა შრეებში მოთავსებული მოთხოვნილების დაკამაყოფილება ვერ მოხდება, თუ პირველ რიგში არ დაკამაყოფილდა დომინანტური მოთხოვნილება. მაგალითად: ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები დაკამაყოფილებული უნდა იქნეს, სანამ უსაფრთხოების მოთხოვნილება აღმოცენდება და ა.შ.. მასლოუ მიიჩნევდა, რომ ეს იერარქიული მოდელი ვრცელდება ყველა ადამიანზე. რაც უფრო მაღლა იწევს იგი ამ საფეხურებზე, მით მეტ ინდივიდუალობას, ფსიქურ სიჯანსაღეს გამოავლენს ის.

მასლოუ ასევე ხახს უსვამდა იმ ფაქტს, რომ არსებობენ განსაკუთრებული ტიპის ადამიანები, რომლებიც იერარქიულ სტრუქტურაში არ ჯდებიან. ისინი, მიუხედავად შიმშილისა და სხვა პაზისური მოთხოვნილებების დაუკამაყოფილებლობისა, ქმნიან ღირებულ ნიმუშებს მხატვრობაში, ლიტერატურასა და მეცნიერებაში.

მასლოუ ვარაუდობდა, რომ განსხვავებული ცხოვრების წესიდან გამომდინარე ზოგ ადამიანს (მაგალითად, ბერებს) შეუძლია შექმნას მოთხოვნილებათა საკუთარი იერარქია.

მასლოუს თეორიაში საკვანძო მომენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოთხოვნილებები არასოდეს კამაყოფილდება პრინციპით: „ყველაფერი ან არაფერი“. მოთხოვნილებები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს და ადამიანი შეიძლება იყოს მოტივირებული მოთხოვნილების ორ ან მეტ დონეზე. მაგალითად: 85%-ფიზიოლოგიური, 70%-უსაფრთხოება, 50%-სიყვარული და ა.შ.

ადამიანი იზოლირებულად კი არ იქმაყოფილებს ჯერ ერთ, შემდეგ მეორე მოთხოვნილებას, არამედ ერთდროულად და მთლიანობაში. მოკლედ განვიხილოთ, რას წარმოადგენს პირამიდის თითოეულ საფეხურზე მოთავსებული მოთხოვნილება:

## უსაფრთხოების მოთხოვნილება

აյ მოიაზრება სტაბილურობის, კანონის, წესრიგის მოთხოვნილება. ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკამაყოფილების შემდეგ უსაფრთხოების მოთხოვნილება უმნიშვნელოვანესი ხდება. აღნიშნული მოთხოვნილება კარგად შეინიშნება ბავშვებში. მაგალითად: ბავშვები გაცილებით კარგად ფუნქციონირებენ ოჯახში, სადაც მეტნაკლებად მოწესრიგებული, დისციპლინირებული სიტუაციაა, თუკი ეს ელემენტები არ არის, ბავშვი თავს არ გრძნობს უსაფრთხოდ, ბევრს ტირის და შფოთავს.

მშვიდობიანობის პერიოდში ადამიანები ვერ აცნობიერებენ, რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოების ფენომენს. უსაფრთხოების მოთხოვნილების განსაკუთრებით მძაფრი განცდა აქვთ ადამიანებს, რომელთაც ჩაიდინეს რაიმე დანაშაული და მართლმსაჯულებას გაურბიან.

## ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები

ყველაზე ძლიერი, მნიშვნელოვანი და გადაუდებელი მოთხოვნილებებია. ისინი ფიზიოლოგიური გადარჩენის საფუძველს წარმოადგენს. ეს მოთხოვნილებებია: საკვების, წყლის, უანგადის, ფიზიკური აქტივობის მოთხოვნილება. მისი დაუკამაყოფილებლობა ორგანიზმისათვის დამანგრეველ შედეგს იწვევს.

## **მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება**

სიყვარულის მოთხოვნილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენს ცხოვრებაში. მასლოუ გამოყოფდა ორი ტიპის სიყვარულს:

**დეფიციტური სიყვარული** აღმოცენდება დანაკლისის შევსების ტენდენციიდან, მაგალითად: თვითპატივისცემა, სექსი, ან უბრალოდ ურთიერთობა იმ ადამიანთან, ვისთანაც თავს მარტო არ ვგრძნობთ. ეს უფრო ეგოისტური ტიპის სიყვარულია.

**ცხოვრებისეული სიყვარული** უანგარო სიყვარულს გულიხმობს, როდესაც ადამიანი მიმართულია ასიამოვნოს სხვას. ასეთი გრძნობა ზრდის და აკეთილშობილებს ადამიანს, მასში არაა ეგოისტური ტენდენციები.

მასლოუმ გააკრიტიკა ფრონიდის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სიყვარული და ლტოლვა იდენტურია. მასლოუსათვის სიყვარული არ არის სექსის სინონიმი, იგი გაცილებით მაღალ საფეხურზე დგას.

## **თვითპატივისცემის მოთხოვნილება**

მასში გამოიყოფა ორი არსებითი ტიპი:

**თვითპატივისცემა**, რომელიც გულისხმობს კომპეტენტურობას, მიღწევას, თვითორწმენას, დამოუკიდებლობას.

**სხვათა პატივისცემა** – იჯულისხმება პრესტიჟი, სტატუსი, აღიარება.

## **თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება**

თუკი ადამიანს ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნილება მეტნაკლებად დამაყოფილებული აქვს, აღმოცენდება თვითაქტუალიზაციის ტენდენცია, რასაც მასლოუ განიხილავს, როგორც ადამიანის მისწრაფებას „გახდეს ის, რაც შეუძლია, რომ გახდეს”, ანუ გამოიყენოს თავისი შესაძლებლობანი. მასლოუს სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: „მუსიკოსმა უნდა დაუკრას

მუსიკა, პოეტმა უნდა წეროს ლექსები, მხატვარმა უნდა ხატოს, ადამიანები უნდა იყვნენ საკუთარი ბუნების ერთგულნი.” მაშინ ისმის კითხვა: თუკი ასეთი მნიშვნელოვანია თვითაქტუალიზაცია, რატომაა ასე ძნელი მისი მიღწევა? მასლოუმ ივარაუდა, რომ ადამიანთა უმრავლესობა საჭიროებს შინაგან სრულყოფილებას და კიდეც მიისწრაფიან მისკენ, თუმცა ძალიან ცოტა, თითქმის მხოლოდ 1% აღწევს მიზანს.

პიტერიან ვინიარდენი, ჩიბ დე იონგი, ბრონე პოტი, თეონა კუპატაძე  
სამოქალაქო განათლება  
მეთოდური გზამკვლევი მასწავლებლებისთვის

პირველი გამოცემა, თბილისი, 2010  
© კონრად ადენაუერის ფონდი 2010  
ISBN 978-9941-0-2867-0

გზამკვლევი წარმოადგენს კორად ადენაუერის ფონდის საკუთრებას.

თარგმანი: ნოდარ მანჩხაშვილი  
დიზაინი: წიგნის სახელოსნო, [www.virgam.wordpress.com](http://www.virgam.wordpress.com)  
ილუსტრაციები: სოფო კირთაძე  
დაკაბადონება: ოთარ ყარალაშვილი

დაიბეჭდა შპს „სეზანში“

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ